

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2018 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში

იანვარი, 2019 წელი

სარჩევი

მიმოხილვა 3

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები 3

პორტფელის მართვა 5

შიდა აუდიტი 6

საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია 7

მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალების საბოლოო დოკუმენტი და სატენდერო
წინადადება 8

შემუშავებული დოკუმენტები 9

ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან 10

მიმოხილვა

2018 წლის მეოთხე კვარტალში, მიმდინარე საკითხებთან ერთად დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ დაასრულა მუშაობა რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტზე. კერძოდ, დამტკიცდა სააგენტოს შიდა აუდიტის ინსტრუქცია, ასევე მომზადდა მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალების საბოლოო ვერსია და შესაბამისი სატენდერო წინადადება, გაკეთდა სადაზღვევო ზღვრის პირველადი ანალიზი და შემუშავდა სააგენტოს 2019 წლის საინვესტიციო გეგმა.

ასევე ჩამოყალიბდა 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების, ისე ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავებისკენ მიმართულ ინიციატივებს და მიმდინარე თემების გაგრძელება/დასრულებას.

აქტიურად გაგრძელდა საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ, მათ შორის, მონაწილეობა მიიღო დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაში.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2018 წლის ოქტომბრის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 23 067 610 686 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 12 192 417 040 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 638 536 190 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 317 178 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2018 წლის ნოემბრის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 22 772 981 898 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 12 168 649 460 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 639 580 045 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 301 045 ლარით განისაზღვრა.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 23 904 154 457 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი

მოცულობა 12 503 391 595 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 750 345 861 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 389 239 ლარით განისაზღვრა.

2018 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.99%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2018 წლის ბოლოს დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 4.95%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირის დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.66%-ით, ხოლო მათ შორის დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა 1.51%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდის მაქსიმალური ტემპი აგვისტოს თვეში (5.29%), დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა კი 2018 წლის დეკემბერში დაფიქსირდა და 6.73% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	ივლ.18	აგვ.18	სექ.18	ოქტ.18	ნოვ.18	დეკ.18	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	19,28	19,30	19,75	20,01	20,13	20,42	21,29	22,31	22,68	23,07	22,77	23,90	
თვიური ცვლილება, %	-	0,10	2,33	1,32	0,60	1,44	4,26	4,80	1,65	1,71	-1,28	4,95	1,99
ფიზიკური პირების დეპოზიტები	10,45	10,45	10,31	10,59	10,70	10,84	10,99	11,57	11,82	12,19	12,17	12,50	
თვიური ცვლილება, %	-	0,04	-1,37	2,72	1,02	1,36	1,36	5,29	2,15	3,15	-0,19	2,72	1,66
დაზღვეული დეპოზიტები	1,49	1,51	1,52	1,53	1,53	1,57	1,60	1,62	1,63	1,64	1,64	1,75	
თვიური ცვლილება, %	-	1,82	0,25	0,57	0,50	2,19	2,13	0,95	0,88	0,52	0,06	6,73	1,51

2018 წლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მეოთხე კვარტლის ბოლოს, წინა კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 5.38%-ით, ფიზიკური პირის დეპოზიტები - 5.75%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 7.36 %-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	მარ.18	ივნ.18	სექ.18	დეკ.18
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	19,75	20,42	22,68	23,9
კვარტალური ცვლილება, %	-	3,39	11,07	5,38
ფიზიკური პირის დეპოზიტები	10,31	10,84	11,82	12,5
კვარტალური ცვლილება, %	-	5,19	9,02	5,75
დაზღვეული დეპოზიტები	1,52	1,57	1,63	1,75
კვარტალური ცვლილება, %	-	3,29	4,00	7,36

2018 წლის განმავლობაში რეგულარული სადაზღვევო შენატანები თვიურად საშუალოდ 1.45%-ით იზრდებოდა (ცხრილი #3). მაქსიმალური ზრდა 2018 წლის მეოთხე

კვარტალში დაფიქსირდა და დეკემბრის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 6.92%-ით მოიმატა. მეოთხე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა 2.30%-ით აღემატება მესამე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს (ცხრილი #4).

ცხრილი 3. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	ივლ.18	აგვ.18	სექ.18	ოქტ.18	ნოე.18	დეკ.18	სამ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	1,19	1,21	1,21	1,22	1,23	1,25	1,30	1,31	1,31	1,32	1,30	1,39	
თვიური ცვლილება, %	-	1,55	0,55	0,53	0,56	2,01	3,46	1,15	0,08	0,47	-1,30	6,92	1,45

ცხრილი 4. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	მარ.18	ივნ.18	სექ.18	დეკ.18
რეგულარული სადაზღვევო შენატანი		3,61	3,70	4,01
კვარტალური ცვლილება, %		-	2,49	2,30

2018 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით, დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 96.2% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 14%. დაზღვეული დეპოზიტების 62% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 38% უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2018 წლის მეოთხე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 4 007 463 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2018 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე ათი განაცხადი გააკეთა, აქედან რვა განაცხადი დაკმაყოფილდა.

2018 წლის 10 ოქტომბერს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 20 459,25 ლარის, 930 851,26 და 941 379,68 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 20,000 ლარის, 910 000 და 920 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი შესაბამისად 7,217%, 7,220% და 7,200%-ია.

2018 წლის 13 ნოემბერს სააგენტომ შეისყიდა 20 000, 750 000 და 1 000 000 ნომინალური ღირებულების 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შემოსავლიანობის სარგებელი შესაბამისად 7,214%, 7,200% და 7,190%-ია, რისთვისაც ჯამურად 1 823 508,04 ლარის მოცულობის ინვესტიცია განახორციელა.

2018 წლის 12 დეკემბერს ჩატარებულ აუქციონზე სააგენტომ 20 000 და 1 210 000 ნომინალური ღირებულების 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის სარგებელი 7,253% და 7,200%-ია.

სააგენტოს მიერ შეძენილი ობლიგაციის კუპონის განაკვეთი 7,500%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი 2020 წლის 12 ივლისია.

შიდა აუდიტი

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სააგენტოს მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და საქმიანობის მონიტორინგის მიზნით, ამ კანონის, სააგენტოს დებულებისა და ინსტრუქციის შესაბამისად სააგენტოში ხორციელდება შიდა აუდიტი, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს საბუღალტრო და ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე შესაბამისი ფინანსური განაცხადების სანდოობისა და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.“

კანონის აღნიშნულ მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოში შემუშავდა შიდა აუდიტის განხორციელების ინსტრუქცია და 2019-2021 წლების სტრატეგია შესაბამისი დანართებით. დოკუმენტები განსაზღვრავს შიდა აუდიტის განხორციელების ძირითად პრინციპებს, უფლებამოსილებას, მეთოდოლოგიას, პერიოდულობას და სხვა შესაბამის საკითხებს.

აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ხელშეკრულებით დაქირავებული აუდიტორი, რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, განახორციელებს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საქმიანობის შიდა აუდიტს. მისი მთავარი მისიაა დამოუკიდებელი, ობიექტური მარწმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, რომელიც ორიენტირებული იქნება სააგენტოს საქმიანობისა და ოპერაციებისათვის სარგებლის შექმნასა და გაუმჯობესებაზე. ამავდროულად, შიდა აუდიტის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს დამოუკიდებელი და ობიექტური რწმუნება იმის თაობაზე, რომ სააგენტოს, რომელსაც გააჩნია გარკვეული ფიდუციარული წესით

მიზარებული საერთო რესურსებისა და სახსრების მართვის უფლებამოსილება, აქვს ქმედით კონტროლები იმისთვის, რომ:

- მიაღწიოს წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ მიზნებს და ამოცანებს;
- დაიცვას შესაბამისი საკანონმდებლო და შიდაორგანიზაციული რეგლამენტების მოთხოვნები;
- დაიცვას სააგენტოს მიერ მართული რესურსები და აქტივები;
- მისი საქმიანობის შედეგების ამსახველი ფინანსური და არაფინანსური საანგარიშგებო ინფორმაცია იყოს სწორი და საიმედო.

შიდა აუდიტის განმახორციელებელ პირს ექნება შეუზღუდავი წვდომა სააგენტოს საქმიანობის შესაბამის სფეროებზე, დოკუმენტებზე, აქტივებსა და პერსონალზე კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან და მის წევრებთან პირდაპირი და შეუზღუდავი კომუნიკაციის შესაძლებლობა სააგენტოს ხელმძღვანელის გარეშე.

შიდა აუდიტორი, მისი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, ანგარიშვალდებულია სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს და სააგენტოს უფროსის წინაშე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია

2018 წლის მეოთხე კვარტალში დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ დაიწყო საზოგადოების ინფორმირების აქტიური კამპანია რამდენიმე მიმართულებით. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ მომზადებული 30 წამიანი საინფორმაციო ვიდეო-რგოლის 2 ვერსია - სოციალური და კომერციული რეკლამის სახით - გავიდა ყველა ძირითადი ტელევიზიის ეთერით. ამასთან, აღნიშნული რგოლი, 2 წუთიან საინფორმაციო ვიდეოსთან ერთად, აიტვირთა სააგენტოს youtube-ის არხზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე, საიდანაც ასევე მოხდა მისი რეკლამირება. ვიდეო-რგოლის სარეკლამო ბანერი განთავსდა ერთ-ერთ წამყვან საინფორმაციო პორტალ IPN-ზე.

სააგენტო, მონიტორინგის არსებული რესურსით, ამოწმებდა სარეკლამო კამპანიის შედეგად სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე დაინტერესების ზრდის ტენდენციებს და აღსანიშნავია, რომ როგორც სარეკლამო ბანერის განთავსების, ისე სატელევიზიო რეკლამის პერიოდში, საიტზე მნახველების რაოდენობა სტანდარტულ ოდენობას მნიშვნელოვნად (2-ჯერ და მეტად) აღემატებოდა.

მოსახლეობის ინფორმირების მიზნით აქტიური კამპანიის გაგრძელება 2019 წელსაც იგეგმება, ხოლო წლის ბოლოს, სააგენტოს დაკვეთით, ჩატარდება სოციოლოგიური კვლევა, რომელიც გამოავლენს თუ რამდენად შედეგიანი იყო კამპანია და რამდენად გაიზარდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ცნობადობა საზოგადოებაში.

მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალების საბოლოო დოკუმენტი და სატენდერო წინადადება

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია „ანაზღაურების ოპერატიულად გაცემის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს მართვის საინფორმაციო სისტემა და პროცედურები და არანაკლებ წელიწადში ერთხელ განახორციელოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის სიმულაცია.

მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ძირითადი პროცესების ავტომატიზაცია და სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემაში მოქცევა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სპეციალური კომპიუტერული სისტემით ოპერირება წარმოადგენს სისტემის ფუნქციონირების საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, სააგენტოში გასული კვარტლიდან, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნული პროგრამის ტექნიკური დავალების დოკუმენტზე, რომელიც საბოლოო სახით მეოთხე კვარტალში ჩამოყალიბდა. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი ის ფუნქციები და დავალებები, რომელიც პროგრამამ უნდა შეასრულოს. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე და შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, შემუშავდა სატენდერო დოკუმენტი. ტენდერის საფუძველზე, 2019 წლის პირველ კვარტალში შეირჩევა კომპანია, რომელიც წლის ბოლომდე დაწერს მართვის საინფორმაციო სისტემას, განახორციელებს მის ტესტირებას და შემდეგი 1 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას.

მართვის საინფორმაციო სისტემის უპირატესობები:

- პროცესები სრულად ავტომატიზებულია - შესაბამისად მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანური შეცდომის ფაქტორი და საოპერაციო რისკი;
- იზოგება დიდი დროითი რესურსი - რამდენადაც ხდება ამოცანების მყისიერი შესრულება. კანონის ამჟამინდელი ჩანაწერით, ასანაზღაურებელი თანხების გამოთვლისა და კომპენსაციების გაცემისთვის სააგენტოს 20 კალენდარული დღე აქვს. აღნიშნული ვადა, ევროდირექტივის შესაბამისად, 7 დღემდე უნდა შემცირდეს. დასახული ამოცანის ასეთ ვადაში შესრულება პროცესის ავტომატიზაციის გარეშე არარეალურია და ამასთან, ნებისმიერ სხვა ფორმატში მონაცემების დამუშავებას ყოველთვის თან ახლავს შეცდომების მაღალი რისკი;
- სისტემა უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას სასურველი კრიტერიუმების (თანხების მოცულობა, მოქალაქეობა, ვალუტა და ა.შ.) მიხედვით;
- სისტემით მოხდება სააგენტოსა და (ანაზღაურების პროცესის განმახორციელებელ) აგენტ ბანკს შორის ურთიერთობა და ანაზღაურებული დეპოზიტების რეესტრის წარმოება, რაც სააგენტოს მისცემს პროცესის ყოველდღიური მონიტორინგის შესაძლებლობას.

მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციაზე. აღნიშნულ ინსტრუქციაში დეტალურად იქნება გაწერილი სადაზღვევო შემთხვევის დროს სააგენტოს მიერ განსახორციელებელი საქმიანობები და ასევე მართვის საინფორმაციო სისტემის მუშაობის პრინციპები.

შემუშავებული დოკუმენტები

მეოთხე კვარტალში სააგენტოში დასრულდა მუშაობა 2019 წლის საინვესტიციო გეგმის და სადაზღვევო ზღვრის ანალიზის დოკუმენტებზე.

საინვესტიციო გეგმის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცდა სააგენტოს უფროსის ბრძანებით, სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და კანონით განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში, აყალიბებს 2019 წლის განმავლობაში განსახორციელებელი საინვესტიციო საქმიანობის ძირითად ტენდენციებს. კერძოდ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზოგადი სურათისა და სააგენტოს 2019 წლის საპროგნოზო შემოსავლების ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა. მიზანშეწონილად ჩაითვალა ინვესტირება 2 ან 5 წლიან სახაზინო ობლიგაციებში. დოკუმენტში ასევე გაკეთებულია შემოსავლებთან დაკავშირებული საპროგნოზო გათვლები.

ძირითადი სიახლე, რომელიც საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების კუთხით იგეგმება და რაც ასევე განისაზღვრა საინვესტიციო გეგმით, შეეხება სააგენტოს მიერ რეპო-ოპერაციების შესაძლებლობის გამოყენებას. ხშირ შემთხვევაში სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი დეპოზიტების დაზღვევის ფონდში კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი ყოველთვიური რეგულარული სადაზღვევო შენატანების ჩარიცხვამდე იმართება, რაც სააგენტოს უზღუდავს გარანტირებულად მისაღები შემოსავლის სრულად ინვესტირების შესაძლებლობას. ასეთი შემთხვევებისთვის სააგენტო განხორციელებს ეგრეთ წოდებულ რეპო-ოპერაციას, რაც გულისხმობს კომერციული ბანკებისგან ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით მოკლევადიანი სესხის აღებას. აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული ვითარებით, ფონდის ის სახსრები, რომელთა ინვესტირება ვერ ხერხდება, განთავსებულია სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე და არ ერიცხება სარგებელი. ამდენად, აღნიშნული ინსტრუმენტი უფრო მოქნილს გახდის დაზღვევის ფონდში არსებული სახსრების ინვესტირების პროცესს და გაზრდის პოტენციურ მოგებას.

რაც შეეხება სადაზღვევო ზღვრის ანალიზის დოკუმენტს, საქართველოში სისტემის ამოქმედების შემდეგ ამ კუთხით ჩატარებული პირველი მოკვლევაა, რომელიც მიმოიხილავს საერთაშორისო პრაქტიკას და საქართველოში არსებული ზღვრის შესაბამისობას, როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან, ისე ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ და საბანკო სექტორში არსებულ ტენდენციებთან. აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებით, საქართველომ ევროკავშირის შესაბამის უწყებებს 2019 წლის ბოლომდე უნდა წარუდგინოს სადაზღვევო ზღვრის ალტერნატიული ოდენობის (ევროკავშირში დადგენილი 100 000 ევროსგან განსხვავებული) წინადადება. ამასთან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ზღვრის ახალი ოდენობა სამეთვალყურეო საბჭომ 2020 წლისთვის უნდა განისაზღვროს. ამდენად, ამ კუთხით ჩატარებული პირველადი მოკვლევა და ანალიზი მნიშვნელოვანია შესაბამისი დასკვნების და წინადადებების მოსამზადებლად.

საერთაშორისო პარტნიორობთან ურთიერთობა

წლის ბოლოს გააქტიურდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ მიმართული აქტივობები. განხორციელდა რამდენიმე საერთაშორისო ვიზიტი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) ყოველწლიური კონფერენცია, რომელსაც მთელი მსოფლიოდან დეპოზიტების

დაზღვევის სისტემის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველო პირველად ესწრებოდა. ღონისძიება შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში ჩატარდა.

საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო დეპოზიტების დაზღვევის ევროპული ფორუმის (EFDI) საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტის შეხვედრაში, რომელიც სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა. სააგენტოს წარმომადგენლები ასევე ესწრებოდნენ ბელარუსის დეპოზიტების კომპენსაციის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას.

2019 წელს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო გეგმავს კიდევ უფრო გააღრმავოს საერთაშორისო კონტაქტები, მათ შორის დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციასთან და განახორციელოს ასოციაციის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზი.